

ინფორმირების ვალდებულების მნიშვნელობა დაზღვევის  
ხელშეკრულებაში

ეთერ ერაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის  
შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ნინო ლიპარტია, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული/ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ეთერ ერაძე / ე.ერაძე/ 05.02.2019

## აბსტრაქტი

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში, ხშირად ვხვდებით სადაზღვევო დავებს, რომლებიც გამოწვეულია სადაზღვევო სუბიექტების მიერ ინფორმირების ვალდებულების დარღვევით. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია დაზღვევის ხელშეკრულებაში. ხშირად სწორედ დამზღვევის მხრიდან ამ ვალდებულების შეუსრულებლობაზე აპელირებით აცხადებს უარს მზღვეველი სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე. ასეთ შემთხვევაში კი დამზღვევი საკუთარი კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით ხდება იძულებული მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მზღვეველის მიმართ იმ ზიანის დაკისრება, რომელიც მან განიცადა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად. აღნიშნული გარემოებით ხშირ შემთხვევაში ზიანის ადგება დაზღვევის ხელშეკრულების მხარეებს და საფრთხე ექმნება დაზღვევის ხელშეკრულების მიზანს - ზიანის ანაზღაურებას.

წინამდებარე ნაშრომში კომპლექსურად არის შესწავლილი ინფორმირების ვალდებულების მნიშვნელობა სადაზღვევო ურთიერთობებში. ნაშრომში განხილულია თუ რა მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს კანონმდებლობასა და სასამართლოს გადაწყვეტილებების მიღების ეტაპზე დაზღვევის სუბიექტების მიერ ინფორმირების ვალდებულებას.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს სასამართლოს გადაწყვეტილებების, იურიდიული ლიტერატურისა და ქართული კანონმდებლობის ანალიზის საშუალებით წარმოადგინოს დასკვნა დაზღვევის ხელშეკრულებაში მხარეთა მიერ ინფორმირების ვალდებულების მნიშვნელობის შესახებ.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** სადაზღვევო ინტერესი, სადაზღვევო შემთხვევა, სადაზღვევო რისკი, დამზღვევი, მზღვეველი, დაზღვეული, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების მნიშვნელობა

## Abstract

In the Georgian judicial practice, we often encounter insurance disputes that are caused by violation of the obligation to inform from the insurance subjects. The obligation to provide information is one of the most important issues in the insurance contract. Often, the insurer by appealing on non-fulfillment of this obligation refuses to reimburse accidentally caused damage. In such a case, the insurer in order to protect the rights and interests protected by his own law is being forced to apply to the court and request to impose the damages that he suffered as a result of the accident against the payer. Due to these circumstances in many cases parties to the insurance agreement are damaged and the purpose of the insurance contract - compensation for damages is in danger.

In the present work, the importance of the commitment to informing in insurance relations is examined complexly. The paper discusses the significance of the obligation to inform from the insurance subjects at the stage of Georgian legislation and the court decision making. The purpose of the work is to present the conclusion on the importance of the obligation to inform the parties in the insurance agreement with the analysis of court decisions, legal literature and Georgian legislation.

**Keyword:** insurance interest, insurance case, insurance risk, insurer, payer, insured, importance of the obligation to provide information.